



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

განკარგულება №26/2018

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №67.27 ცაიშის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 მაისის შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 27 მარტი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 142-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 154-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 14 მარტის №60/2018 განკარგულებისა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ 2018 წლის 27 მარტს წარმოდგენილი №375/01 განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №736) საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №67.27 ცაიშის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 მაისის

შუალედური არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი წარმომადგენლები თინათინ ბოკუჩავა და კარლო კვიციანი.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია